



სამეცნიერო სემინარი თემაზე:
ნ. მარი და ქართულ-სომხური
ლინგვისტური პრობლემატიკის
ზოგიერთი საკითხი მე-20 ს. პირველ
ნახევარში

ასოც. პროფ. თ. ავალიანი

08.07.2019

https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_12611_1.pdf

(სემინარის თემა დამუშავებულია საგრანტო პროექტის
„Knowledge Exchenge and Academic Cultures in the
Humanities: Europa and the Black Sea Region, late 18th-21st
Centuries –KEAC-BSR” (734645-KEAC-BSR)

ნ. მარი. 1907 წელი

- ✓ „ ... სომეხთა და ქართველთა ერთი იყო მამად, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარაშისი, ძისწული იაფეთისი, ნოეს ძისაჲ ... ხოლო შვილთა შორის თარგამოსისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი, ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა - ჰაოს, მეორესა - ქართლოს,“ („ქართლის ცხოვრება“).
- ✓ ეს საკითხი ხაზგასმულია უძველეს სომეხ ავტორებთანაც, მათ შორის სომხური ისტორიოგრაფიის მამად *წოდებულ მოვსეს ხორენაცთან*, რომელსაც „სომხეთის ისტორიაში“ სომეხთა წარმომავლობა ასევე ბიბლიური მამამთავრიდან გამოჰყავს.

ბიბლიური ნოეს შთამომავალნი



ზოგადად სომხურ-ქართული ლინგვისტური ურთიერთობების ისტორიის შესახებ



ანტონ კათალიკოსი

- „ბერძნულ-ლათინური გრამატიკული ტრადიცია ქართულში შემოვიდა სომხური გრამატიკის გავლით“, - ე. ბაბუნაშვილი.
- ზურაბ შანშოვანის „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“ (1737), და სიმონ ჯულაეცის სომხური ენის გრამატიკას;
- ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა“ (1753, ხელნაწერი) და მხითარ სეზასტიელის (სეზასტიცის) სომხური ენის გრამატიკა.
- მიზეზი - „მოდალეებული მაჰმადიანური ზეგავლენის გამო ბერძნულ-ლათინური ტრადიციასთან უშუალო კავშირი დიდი ხანია გაწყვეტილი იყო. სომხური გრამატიკა კი უშუალოდ ამ ტრადიციით იყო ნასაზრდოები“ - ე. ბაბუნაშვილი

სომხურ-ქართული ფილოლოგიის ერთობლივი (მათ შორის სადაო)

პრობლემატიკა

- ქართული გრამატიკის სომხურიდან თარგმნის საკითხი;
- ქართული ანბანის სომხურის საფუძველზე შექმნის საკითხი;
- ბიბლიის პირველი ქართული თარგმანის სომხურიდან შესრულების საკითხი;
- „ვეფხისტყაოსნის“ სომხურიდან თარგმნის საკითხი
- და სხვა.

ნ. მარის ძირითადი ლინგვისტური დებულებები

- აღმოსავლეთის და დასავლეთის როგორც ყველა კულტურა, ისე ყველა ენა ერთი და იმავე შემოქმედებითი პროცესის შედეგია;
- არ გამართლდა მოსაზრება ენათა რასობრივი, რელიგიური და ეროვნული წარმოშობის მიხედვით ოჯახებად დაყოფის შესახებ;
- ენათა ერთი (რასობრივი) ოჯახი განსხვავდება მეორისგან არა წარმოშობით, არამედ იმით, რომ ეს არის ძველი სისტემის განვითარების შედეგად მიღებული ახალი სისტემა;
- დაწყებული იაპონიიდან და ჩინეთიდან ატლანტის ოკეანემდე უძველესი ეპოქის ყოფის და კულტურის ტერმინები ყველა ენაში ერთნაირია იაფეტური თეორია მოიცავს მსოფლიოში არსებულ ყველა ენას.
- ყველა ენის ყველა სიტყვა საბოლოო ჯამში მოდის ოთხი ელემენტიდან: *სალ, ბერ, იონ, რომ*;

ქართული და სომხური ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევებიდან იაფექტიდური ენათმეცნიერებისაკენ

- ხელისშემშლელი ბარიერი კვლევის მთელ პროცესში - ენათა ნათესაობის თეორია, რომელიც ნ. მარმა 1923 წლიდან უარყო და ამიერიდან ტერმინი „იაფექტური ენები“ აღარ ნიშნავს საერთო წარმოშობის ენათა ჯგუფს);
- იაფექტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები წარმოადგენენ მესამე ეთნიკურ ელემენტს ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში. იაფექტიდები წინ უსწრებენ ინდოევროპელებსაც და სემიტებსაც - ნ. მარის ეს აზრი არსებითად სწორი გამოდგა.
- ძვ.წ.აღრ IV-III ათასწლეულებში ბალკანეთის ნახევარკუნძულის, მცირე აზიის და ეგეოსის ზღვის მოსახლეობა არაინდოევროპული, არასემიტური და არა ურალურ-ალათაური იყო. ეს იყო თვითმყოფადი ხალხი კვაშილავა გ. „პროტოქართველები, საერთოქართველური ენა და წარწერები“.




1. . . „ ”. . 1899

2. . . „ - ”. . 1902

3. . . „

” . 1909.



”

“
1900-1913 წლებში
გამოქვეყნებული 13
ტომიდან 11 - ში
მხოლოდ ნ. მარის
კვლევებია დაბეჭდილი



ზოგიერთი ცნობა ნ. მარის
ბიოგრაფიიდან



ნ. მარი. 1907
წელი

❑ *მამა - იაკობ მარი (ჯეიმს პატრიკ მონტეგიუ მარი),*

❖ შოტლანდიელი აგრონომი, მეზაღე და მრეწველი, კარგად ფლობდა ფრანგულ და გერმანულ ენებს, ლონდონში სწავლობდა მიხეილ ვორონცოვთან ერთად.

❖ სწავლის დამთავრების შემდეგ ესპანეთში გადასვლა და ესპანელ *ფაკუნდა ანტონიოზე* დაქორწინება

❖ ჩამოსვლა ოჯახით ჯერ ოდესაში, ხოლო 1822 წელს - საქართველოში თავდაპირველად *თბილისში, შემდეგ გურიაში;*

❖ *მამია V გურიელის* მიერ თავის მამულებში სწავლულ აგრონომად მიწვევა; მდინარე *სუფსის ნაპირას* მდებარე სოფელ *დაბლაციხეში* დასახლება

❖ 1840 წელს *ქუთაისში* გადასვლა. მუდმივი კავშირი დაბლაციხესთან

❖ გურიელმა მარს სამოსახლოდ და სანერგეს მოსაწყობად ლანჩხუთის ახლოს მისცა ადგილ-მამული 15 ყმა-ოჯახით. მარმა ყმებზე უარი განაცხადა.

❖ „ჩვენს ქვეყანაში ჩამოთესლებულმა უცხო ტომის კაცებმა ისარგებლეს ჩვენი ხალხის უმეცრებით, სიბრიყვით და ბარბაროსულად მოიქცნენ და იქცევიან. მარი კი ამ მხრივ საქებრად მოიქცა: იმას მთავარმა მამიამ შეაძლია რამდენიმე კომლი კაცი კუთვნილი ადგილ-მამულებით, მაგრამ როგორც პატიოსნებისა და სინიდისის გაწმენდილმა კაცმა დამშვიდებით უარყო და უპასუხა: „მე სინიდისი და მრთელი ჭკუა ნებას არ მაძლევს, რომ ჩემისთანა კაცები მონებად მყავდესო“

(ნეკროლოგი. გაზ. „დროება“, №421, 1874: 2)



ნ. მარი. 1907
წელი

□ დედა- ალათი შარაშიძე-მალულარია,

- ❖ პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 84 წლის ი. მარმა 1865 წელს ახალგაზრდა ქართველ ქალზე, *ალათი შარაშიძე-მალულარიაზე* იქორწინა.
- ❖ *1865 წელს, 25 დეკემბერს* მათ ეყოლათ შვილი - ნიკოლოზი.

- ❖ *1874 წელს 95 წლის* იაკობ მარი გარდაიცვალა ის *პირველი მეუღლის გვერდით, სოფელ ბუკისციხის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.*
- ❖ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც მარმა დააარსა და ხელმძღვანელობდა, ჯერ ტექნიკუმად, შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთდა.



□ „*თუ დედის მონაყოლს დავუჯერებთ, ჩემი დაბადება და ბავშვობა ლეგენდარული ყოფილა*“ - ნ. მარი

❖ პატარა ნიკოლოზს ევროპული ენები მამამ ასწავლა, თვითონ ნიკოლოზი მშობლიურ ენად თვლიდა ქართულს და ქუთაისის გიმნაზიაში ჩარიცხვამდე *რუსული ენა საერთოდ არ იცოდა;*

- ❖ *1870 წელს (სხვა მონაცემებით 1874 წელს)* კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის შუამდგომლობით (იაკობის თხოვნის შემდეგ) ნიკოლოზი ჩარიცხეს ქუთაისის გიმნაზიაში სახელმწიფოს ხარჯზე;
- ❖ როგორც წერენ, ის გიმნაზიიდან რამდენიმეჯერ გაქცეულა, თუმცა 1884 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა.
- ❖ 1884 წლიდან - პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ერთდროულად ოთხ განყოფილებაზე: *არაბულ-სპარსულ-თურქულ-თათრულ;* *არაბულ-სპარსულ-სირიულ;* *სანსკრიტულ-სპარსულ-სომხურ;* *ქართულ-სომხურ* განყოფილებებზე



❑ ნ. მარის მიდრეკილება ენების ცოდნისადმი

- ❖ ევროპული ენები მამამ ასწავლა, მშობლიურ ენად თვლიდა ქართულს და ქუთაისის გიმნაზიაში ჩარიცხვამდე **რუსული ენა საერთოდ არ იცოდა;**
- ❖ „ჩემ პირველ **რუსულ** თხზულებაში იმდენი შეცდომა აღმოჩნდა, რამდენიც მასში მარცვალი და ლამის ასო-ნიშანი იყო“ ნ. მარი
- ❖ მიუხედავად ამისა, უკვე მეორე კლასში მან შეძლო წაეკითხა „რობინზონ კრუზო“-ს რუსული თარგმანი;
- ❖ ცოტა მოგვიანებით - **გერმანული** წიგნი „მსოფლიო ისტორიის კომედია“ ორიგინალში;
- ❖ გიმნაზიაში ის სწავლობდა აგრეთვე **ლათინურ, ბერძნულ, ფრანგულ და იტალიურ** ენებს.
- ❖ **ბერძნული** ენით დაინტერესების ისტორია;



□ პროფესიის არჩევა, სომხური ენა და არმენოლოგია

❖ გატაცება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, ფილოლოგიაზე გადართვა და მასთან დაკავშირებული ისტორია: „

, () ,

“ - ნ.მარი

- ❖ „სომხური პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების მომენტისთვის (1888 წ.) ვიცოდი, თუმცა ქართულის დონეზე არა“ - ნ. მარი
- ❖ არმენისტ გ. პატკანოვის შეთავაზება , საქართველოში სამუშაოდ წასული, *მაგრამ მალევე პეტერბურგის უნივერსიტეტში უკან მობრუნებული* ნ. მარისადმი და სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელება სომხური სიტყვიერების, ენის და ლიტერატურის მიმართულებით;
- ❖ ინციდენტი სომხური ენის კათედრაზე მუშაობის დაწყების წინ.

❑ ახალგზარდა ნ. მარის წინააღმდეგობები ქართველ მეცნიერებთან



❖ ნ. მარის პირველი ნაშრომი: „ბუნება და თვისება ქართულისა ენისა“ - გაზ. „ივერია“ , 1888. წ.

❖ ნაშრომის თავდაპირველი სათაური: „ქართულის ნათესაობის შესახებ სემიტურ ენებთან“ და მასთან დაკავშირებული ინციდენტები

- ❖ „ნაშრომის ვწერდი მალულად, ერთგვარ სამეცნიერო იატაკქვეშეთში, იმდენად დიდი წინააღმდეგობა შემხვდა, რომ იძულებული გახდა სათაური შემეცვალა“ - ნ. მარი;
- ❖ ქართული ენის სხვა, კერძოდ ინდოევროპულთან ნათესაობის იდეის ისტორია (მარი ბროსე, აგრეთვე ფრანც ბოპი - „ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრები კავკასიაში“);
- ❖ 1888 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნ. მარის მცდელობები მუშაობა დაეწყო საქართველოში, თუმცა მისი საკმაოდ წინააღმდეგობრივი მოსაზრებების გამო იმსახურებს ქართველ მოაზროვნეთა ძლიერ რისხვას (მისი სიტყვებია).

❑ ახლო ზარდა ნ. მარის წინააღმდეგობები ქართველ მეცნიერებთან



❖ არ იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე (თვითონ საწინააღმდეგოს იგონებს);

❖ არ უჭერდა მხარს ქართული უნივერსიტეტის გახსნას და მოითხოვდა კავკასიური უნივერსიტეტის გახსნას, სადაც სწავლა რუსულ ენაზე იქნებოდა.

- ❖ რუსთველის პოემას თვლიდა თარგმნილად და ეძებდა მის დედანს სპარსეთსა და სომხეთში;
- ❖ საუბრობდა ქართული ბიბლიის - სომხურიდან თარგმნის შესახებ;
- ❖ ჯიუტად ამტკიცებდა, რომ მდინარე სუფსის სახელწოდება აფხაზურია, რაც შეცდომა აღმოჩნდა;
- ❖ მის მიმართ ცუდად იყვნენ განწყობილნი . ი. ჭავჭავაძე, კ. გამსახურდია, დაძაბული ურთიერთობა ქონდა თავისსავე მოწაფეებთან: ი. ჯავახიშვილთან, ა. ჩიქობავასთან, გ. კაპანციანთან და სხვებთან

. 1899

- ❑ არმენისტიკა უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ მეცნიერულ მიმართულებად.
„პირველი პირობაა ის, რომ აუცილებლად უარი უნდა ვუთხრათ, თუ შეიძლება ითქვას, ყოველგვარ მეცნიერულ ცრურწმენას“;
- ❑ სომხეთი ყველა ეპოქაში სხვადასხვა ცივილიზაციის საკვანძო პუნქტში მდებარეობდა, ამიტომ, მკვლევრის აზრით, არ შეიძლება იმის გაფიქრებაც კი, **თითქოს ეს არის სუფთა დაფა**, რომელზეც შეიძლება ნებისმიერი თეორია დაიწეროს.
- ❑ ამ დაფის სიღრმეში უკვე არის დატანილი რამდენიმე ფენა, რომელთა გაუთვალისწინებლობის გარეშე არცერთი თეორია არ იქნება მეცნიერულად ღირებული (მარი, 1899:4). შესაბამისად.

. . .
-
. . 1902

□ ქართული და სომხური ფილოლოგია, ისევე როგორც საერთოდ ქართველოლოგია და არმენისტიკა, ორი დამოუკიდებელი, მაგრამ მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი დარგია და არცერთი პრობლემა, რომელიც ამ სფეროს ეხება, არ უნდა იქნეს განხილული ერთმანეთისგან იზოლირებულად.



„რა გამართლება აქვს ტერმინს „ქართულ-სომხური ფილოლოგია? - ნ. მარი



- ❑ იმ ხალხების კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის საერთო ვალდებულება, რომლებიც უძველეს დროში სახლობდნენ ქართველებით და სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე;
- ❑ იმ ხალხების კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის საერთო ვალდებულება, ვის სათარეშოდაც იყო ქცეული ეს ტერიტორიები (ასირიელ-ბაბილონელების, ბერძნების, ძველი სპარსელების, პართელების, რომაელების, ბიზანტიელების, არაბების, თურქების და სხვა).
- ❑ ქართველები და სომხები უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე უახლოესი მეზობლები (და მეზობლებზე მეტიც) იყვნენ. ასე მოვიდნენ ისინი დღემდე. *საქართველოსა და სომხეთის წარსული ბედ-იღბალი აუცილებლად ერთობლივად უნდა იქნეს შესწავლილი*“

„რა გამართლება აქვს ტერმინს „ქართულ-სომხური ფილოლოგია? - ნ. მარი




- „სომხები და ქართველები წარმოადგენდნენ ორ მონათესავე ტიპს. მე მხედველობაში მაქვს ჩემი ლინგვისტური თეორია, ქართული ენის წარმოშობისა და არიულამდელ სომხურთან მისი ნათესაობის შესახებ“. *სომხურ-ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთ უახლოეს ამოცანად უნდა იქნეს დასახული ქართული და სომხური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არიული და არაარიული ელემენტების გამოვლენა და ანალიზი“*
- ქართული და სომხური ანბანების წარმოშობის პრობლემის გადაჭრა ერთობლივი კვლევების მეშვეობით;

„რა გამართლება აქვს ტერმინს „ქართულ-სომხური ფილოლოგია? - ნ. მარი



- სომხურ-ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანა - ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა, კერძოდ,
 - ❖ ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული თარგმანებისა, რომლებიც სრულდებოდა ძველ დროში ეკლესია-მონასტრებში;
 - ❖ ქრისტიანული რწმენის დამკვიდრების საწყისი ეტაპის ლიტერატურულ ურთიერთობებისა
- სომხურიდან ქართულად თარგმნის პრობლემის კვლევა. „ითარგმნა თუ არა პირველი ქართული ბიბლია სომხურიდან



”

-

“

1900-1913 წლებში
გამოქვეყნებული 13
ტომიდან 11 - ში მხოლოდ
ნ. მარის კვლევებია
დაბეჭდილი



1. პირველ ტომი - „

“ (სომხური

ტექსტის ნ. მარის რუსული თარგმანი და ანალოზი);

2. მე-2 ტომი - „

“

(„იოსებ არიმათიელი“) (ქართული ტექსტის ნ. მარის რუსული თარგმანი და ანალოზი);



მე-4 ტომი - „

“ ,

ლიტერატურული მიმართულების კრებული, ეხება დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მეხოტბეთა ნაწარმოებებს;



მე-5 ტომი: „Н. Марр. Критика и мелкие статьи“,

მოიცავს შვიდ სტატიას, რომელთაგანაც ორი ლინგვისტურია: ლ. მესერიანცის ნაშრომი „Этюды по армянской диалектологии“ და მესროპ ტერ მოვსესიანის ნაშრომი „История перевода библии на армянский язык“.



მე-8 ტომი - ი. ჯავახიშვილის ნაშრომი

”

“

მე-10 ტომიც ისტორიულ-არქეოლოგიური თემატიკისაა: „
1905 „, რომლის გაგრძელებაც არის **მე-11 ტომი** „Анийская археологическая кампания“.

მე-12 ტომი „

“

-

.



1. *მე-3 ტომი* - „Ипполит. Толкование Песни Песней“ („იპოლიტე, თარგმანებაი ქებათა ქება“), (ქართული ტექსტის ნ. მარის რუსული თარგმანი):

„

“ - ნ. მარი.

- ❖ ერთ-ერთ არგუმენტად იშველიებს გრამატიკული, სინტაქსური და ლექსიკური არმენიზმების სიუხვეს *აგარაკი, აზნაური, ამოღება, ამბორება, ამპარტავანი, ასპარეზი, ბანაკი, ბასრობა, ბევრი, გუნდი, დასი, დივანი, ერდო, ვანი, ვახში, ვეშაპი, კიდობანი, ლამპარი, მატიანე, მუტრუკი, მუშაკი, ნიში (=ნიშანი), პატიჟი, პილოენძი (სპილოენძი), ჟამი, სარო, სპეტაკი, ტალავარი, ტომი (მოდგმა), ფანდური, ქალაქი, ქანდაკი, ლაღადი, შროშანი, ჭეშმარიტი, ჭლაკი (=ჩლოქი), ხარკი, ხარჭი, ჰამბავი, ჰასაკი, ჰურია, მარმარინო, სამინდო (=წვრილად დაფქული სიმინდის ფქვილი) და სხვა*



მე-6 ტომი - „Физиолог. Армяно-грузинский извод. Грузинский и армянский тексты“, რომლისადმი ინტერესსაც მკვლევარი ასე ხსნის: „Шаг за шагом выясняются размеры и *характер влияния древнеармянской литературы на древнегрузинскую*, ... устанавливается, что „Физиолог“ на грузинский язык был переведён с армянского



❖ მკვლევარი დაწვრილებით აანალიზებს ყველა სახის არმენიზმს ქართულ ტექსტში: *ავაზნი, ახოვანი, ბილწი, ბირთვი, ვეშაპი, თარგმანება, იავარი, კოლტი, პატივი, ჟამი, სასტიკი, სპეტაკი, ტაძარი, ქურუმი, შუქი, ჭეშმარიტი, ხარკი და სხვა.*

ქართული და სომხური ენების ურთიერთმიმართების საკითხი ნ. მართან

□ 1897.

□ „ვარლამის და იოასაფის ცხოვრება“ - შუა საუკუნეების ბიზანტიური რომანი, ბერძნულ ენაზე მოღწეული ჰაგიოგრაფიული თხზულება. ფართოდ გავრცელდა ევროპაში. ითარგმნა და არაერთგზის გადამუშავდა თითქმის ყველა ევრ. ენაზე. არის აგრეთვე მოსაზრება, რომ არაბულსა და ბერძნულს შორის არის ქართ. ვერსია, რ-ის ორი რედაქცია შემონახულია ძვ. ქართ. ხელნაწერებში: “იოდასაფის ცხოვრება” და “სიბრძნე ბალავარისი”.

□ „ვარლამის და იოასაფის ცხოვრების“ ტექსტის ორიგინალის ენის პრობლემა. სხვადასხვა ენის, მათ შორის **სომხური წარმოშობის ლექსიკის სიმრავლე** (სასტიკი, პატივი, ჰასაკი, ჭეშმარიტი, ჟამი, საგანძური, ჰამბავი, [ჰ]ამბორი, აგარაკი)

ქართული და სომხური ენების ურთიერთმიმართების საკითხი ნ. მართან



. .

. . 1909.

- „იაფეტური ფონეტიკის პოზიციიდან აშკარაა, რომ სომხური ენის ორგანულ შედგენილობაში ისეთი ნიშანი, რომელიც შეიძლება ინდოევროპულ ენათა ოჯახის წმინდა წარმომადგენლად ჩაითვალოს, არ გვაქვს“ - ნ.მარი
- „აშკარაა, რომ ისინი იაფეტური განშტოების რომელიმე ენაზე მოსაუბრე ადრინდელ მცხოვრებთა ენის გადმონაშთებია“ - ნ. მარი.
- „სრულიად ბუნებრივია, რომ სომხური ენობრივი განშტოება სანახევროდ მაინც ენათესავენ იაფეტური განშტოების ისეთ წარმომადგენლებს, როგორცაა ქართული და განსაკუთრებით იბერიული (ლაზურ-მეგრული) და სვანური“ - ნ. მარი
- სომხები იბერებთან უფრო მჭიდროდ თანაცხოვრობდნენ, ვიდრე ქართვეთან, შესაბამისად, უშუალოდ იბერიულთან ასეთი საერთო ელემენტების სიმრავლე შესაძლებელია ამ ენიდან სესხების შედეგიც იყოს“



ნიკო მარის
საფლავი სანკტ-
პეტერბურგში

ნ. მარის
საფოსტო მარკა,
გამოშვებული
სომხეთში
დაბადების 150
წლისთავთან
დაკავშირებით.

